ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 292 (19434) ◆ შაბათი, 21 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი 1986-1990 წლებში აგროსამრეწველო კომპლექსის გადამამუშავებელი დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დაჩქარების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ამ საკითხის გამო გათვალისწინებულია ამოცანები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ დარგის მოქმედი საწარმოების გაფართოებასა და რეკონსტრუქციას და ახალი საწარმოების მშენებლობას, წარმოებაში დიდეფექტიანი, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის უფრო ღრმა და კომპლექსურ გადამუშავებას, რაც გაადიდებს კვების დარგების პროდუქციის გამოშვებას. ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა უზრუნველყონ გამოყოფილი კაპიტალდაბანდებების ეფექტიანი გამოყენება, დროულად აამოქმედონ გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეები და აითვისონ ისინი, დანერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დანაკარგები. დაისახა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა უკეთ უზრუნველყონ აგროსამრეწველო კომპლექსის კვების დარგების მუშაკები ბინებით, სკოლამდელი დაწესებულებებით, კლუბებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვისა და ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მუდმივი სამდივნოს ხელმძღვანელის მ. შ. მესადიას საუბრის შედეგები, რომელმაც საბჭოთა ხელმძღვანელს გადასცა ალჟირის პრეზიდენტის შადლი ბენჯედიდის წერილი.

მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული თანამშრომლობა ყველა დარგში, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის კავშირურთიერთობას. ალჟირთან ურთიერთობის განმტკიცების კურსი, რომელსაც სსრ კავშირი ადგას, კონკრეტული გამოხატულებაა პრინციპული პოზიციისა, რომელსაც იცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იმ ხალხთა მხარდასაჭერად, რომლებიც დამოუკიდებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური განახლების გზას ადგანან.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ინიციატორთა დევიზით: სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა!

სწრაფი ტემპი

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკაში წლეულს განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თერთმეტ თვეში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,8 პროცენტით შესრულდა. წარმოების ზრდის ტემპმა შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 118,8 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერებისამ — 113,2 პროცენტი შეადგინა. ამ მონაცემებით საწარმომ უკვე შეასრულა ხუთწლედის გეგმა. ხუთწლედში გეგმით გათვალისწინებული იყო 74.950 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის დამზადება, ფაქტობრივად გამოშვებულია 76.797 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

საწარმოს წარმატებანი მნიშვნელოვნად განაპირობა ყველა უბანზე ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, შრომით მეტოქეობაში დაწინაურდნენ და მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან მკერავები, დები ნანა და მანანა ბოგვერაძეები, გულო ხვედელიძე, რუსუდან გველესიანი და ნინო კიკნაველიძე, ფატი გუმბერიძე, თინა არაბიძე და სხვები.

წლეულს საწარმოში სიახლის ინდექსიანი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წილი შეადგენს 19,8 პროცენტს. შარშანდელ შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი 16 პროცენტს აღწევდა. საწარმოს კოლექტივი შრომობს დევიზით: სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა!

„ელვა“ იტყობინება

ტყიბული. (საქ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში ამ დღეებში ზედიზედ ორი „ელვა“ გამოჩნდა. პირველმა შახტის მოწინავე კოლექტივს ამცნო, რომ საწარმომ ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა.

მეორე „ელვამ“ შრომითი გამარჯვება მიულოცა ამავე შახტის სამთო მოსამზადებელი უბნის ჩქაროსნული გაყვანის იმ ბრიგადებს, რომლებსაც გამოცდილი სამთოელები ბ. არსენიძე და ვ. ფედოტოვი უდგანან სათავეში. ჩქაროსანთა ბრიგადებმა წლეულს რეკორდულ წარმატებას მიაღწიეს. მათ გეგმის გადამეტებით 55 გრძივი მეტრი სამთო გვირაბი გაიყვანეს.

მუშაობის ასეთი სწრაფი ტემპი განაპირობა მეცნიერებთან მტკიცე შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებამ. ისინი აქაურ მეშახტეებს ეხმარებიან ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა-ათვისებაში, საწმენდი სანგრევის ხაზის თავის დროზე მომზადებაში, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებაში.

შრომითი გამარჯვებებით განსაკუთრებით გულუხვია ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი. წლეულს ბევრი მეშახტე დაწინაურდა. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არიან ლ. კაკუშაძე, ლ. სოფრომაძე, ა. ბარბაქაძე, ს. სილაგაძე, მ. კირკიტაძე და სხვები, რომლებიც შრომობენ დევიზით: სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა! გაერთიანება „საქნახშირის“ საექსპლოატაციო უბნებში პროფესიათა შორის საუკეთესოდ აღიარეს და სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდნენ მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსი ვ. ფორჩხიძე და საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი ი. ცირეკიძე.

დავალება შესრულებულია

სამტრედია. (საქ. კორ.). მექანიკურ-ექსპერიმენტული ქარხნის კოლექტივმა არ გატეხა სიტყვა და ვადამდე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა. გამოშვებულია 7.325 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობს ვალდებულებით გათვალისწინებულს. შესანიშნავად შრომობენ მექანიკური საამქროს უბნები, რომლებსაც ოსტატები რ. კალაძე, ე. მელქაძე, ა. დოლიძე და ჯ. კაკაბაძე უძღვებიან. დაწინაურდნენ შ. ძაგანიას, ქ. ბაბუძელაძის, კ. მესხის და შ. ჩიქოვანის ბრიგადები.

ქარხნის კოლექტივი შრომობს დევიზით: სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით აქ 287 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდება. მომავალი წლის ორი თვის გეგმა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შესრულდება.

* * *

სიღნაღის რაიონის მშრომელები თავდადებით იღვწიან ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისათვის და წარმატებასაც აღწევენ. სახელმწიფოს მიეყიდა საგეგმო 6.800 ტონის ნაცვლად 8.806 ტონა მარცვლეული, 2.800 ტონის ნაცვლად 3.217 ტონა ბოსტნეული და ბაღჩეული, 4.906 ტონის ნაცვლად 4.929 ტონა ხორცი, 10 მილიონ 100 ათასი ცალი კვერცხის ნაცვლად 10 მილიონ 120 ათასი ცალი და 1.712 ცენტნერის ნაცვლად 1.982 ცენტნერი მატყლი.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება გრძელდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და აგროსამრეწველო გაერთიანებამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების მიმდინარეობა, აღინიშნა, რომ მთელი მოსამზადებელი მუშაობა წარმოებს მაღალ დონეზე, მიზნად ისახავს მასების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ გადიდებას, პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-პოლიტიკურ განმტკიცებას, 1985 წლის დავალებათა შესრულებას, მეთორმეტე ხუთწლედის დაწყებითი პერიოდის ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტის მტკიცე ბაზის შექმნას. სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას ფართოდ და მრავალმხრივ აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ძირითადი ყურადღება მიაპყრონ 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფას, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა საწარმოები და ორგანიზაციები მუშაობდნენ რიტმულად, შრომის უმაღლესი ნაყოფიერებით, თითოეულ შრომითს კოლექტივს მიზნად დაუსახონ მთელ ყრილობისწინა პერიოდში დიდი მაჩვენებლების მიღწევა.

კონტროლის წესით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოების მუშაკთა სამედიცინო მომსახურებისა და ავადობის პროფილაქტიკის მდგომარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1983 წლის ნოემბრის კრების მოთხოვნათა შესაბამისად მათი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა რა, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, პროფსაბჭო, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სამრეწველო საწარმოების მუშათა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კონტროლი შრომის დაცვის, მრეწველობის მუშაკთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისადმი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამედიცინო დაწესებულებებისათვის საშეფო დახმარების გაძლიერებას.

შეჯამდა კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1985 წლის ცხრა თვის შედეგები. ამ საკითხზე მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება 1986 წელს და მომდევნო პერიოდში ბოსტნეულის ასორტიმენტის გაფართოების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ამით რესპუბლიკის მოსახლეობისა და საკონსერვო მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციისათვის რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობა და იგი არასაკმარისად ცნო. სამინისტროს ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციას დაევალათ ყოველნაირად გააქტიურონ მუშაობა ამ მიმართულებით, გაზარდონ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა ცალკეული მაჩვენებლების ფორმალური შეფასებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების მაქსიმალურ დანერგვას, მანქანებისა და მოწყობილობის დატვირთვისა და მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებას. რეკომენდებულია მოაწყონ სისტემის სამრეწველო საწარმოთა დათვალიერება-კონკურსი სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციისათვის მუშაობის უკეთესი ორგანიზაციის მიზნით, რათა გამოავლინონ შრომის ნაყოფიერების ზრდის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობის გადიდების რეზერვები.

განიხილა რა ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის საკითხი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა სრულიად არასაკმარისად ცნო. საქართველოს კომპარტიის ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიკომებს დაევალათ განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა გააძლიერონ მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და ადგილობრივ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაევალათ ყოველდღიურ კონტროლს დაუქვემდებარონ საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობა, საკვები რესურსების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვა, რათა გადიდდეს პირუტყვის პროდუქტიულობა, გაიზარდოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ტემპი და მოცულობა 1985-86 წლის ზამთრის პერიოდში. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა საკითხებზეც.



ეს იქნება საუკეთესო...

მთავრდება თბილისის რკინიგზის ახალი ვაგზლის მშენებლობა. იგი მომავალი წლის დამლევისათვის უნდა ჩადგეს მწყობრში. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა... ვაგზალი აღიჭურვება უახლესი ტექნიკით, მთლიანად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ვაგზლის მშენებლობას აწარმოებს ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის 131-ე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი.

— ამჟამად, — ამბობს ამ სამმართველოს მთავარი ინჟინერი ზ. კაკაურიძე, — დამთავრდა ნაგებობის კარკასის მშენებლობა და მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები. აიგო პირველი და მეორე ლიანდაგების ბაქნები, გაგვყავს მიწისქვეშა გვირაბი, შენდება მიწისქვეშა გადასასვლელები...

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მშენებლებმა გადაწყვიტეს ვადამდე დაამთავრონ ვაგზლის მთელი რიგი ობიექტების აგება.

სურათებზე: ელექტროშემდუღებელი რ. ბერიძე; მოწინავე მშენებლები დ. კობახიძე, გ. გოგოჭური, ფ. ლომაია, გ. ჩადუნელი და მ. აბესაძე; ახალი ვაგზლის ფასადი.

ხ. კილაძის ფოტო.

დაჩქარების გზით — ახალი მიღწევებისაკენ

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წიგნი „რჩეული სიტყვები და სტატიები“.

წიგნში შეტანილია მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები, სტატიები და მოხსენებანი, რომლებიც განეკუთვნება 1985 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე პერიოდს. ყველა მასალას აერთიანებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების იდეა. მათში აღნიშნულია, რომ საჭიროა ეკონომიკის უფრო დინამიკური ზრდა. ამასთან საქმე ეხება ამ ზრდის ახალ თვისებას, განვითარების ინტენსიურ რელსებზე გადასვლას, სწრაფ წინსვლას სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით.

წიგნში ახალ ჟღერადობას იძენს ისეთი პრობლემები, როგორიც არის პარტიის სოციალური პოლიტიკა, სოციალური სამართლიანობის პრინციპის უფრო სრული განხორციელება, საიმედო სასურსათო ბაზის შექმნა.

ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტით დასაბუთებულია ადამიანის ფაქტორის გააქტიურების ამოცანა. ჩვენი საბჭოთა ისტორიის მთავარი მოქმედი პირი იყო და არის ხალხი. საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევა ორგანულად უკავშირდება საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფას, ქვემოდან კონტროლის გაძლიერებას.

კრებულის მასალებში დიდი ყურადღება ეთმობა პარტიული მუშაობის სტილის სრულყოფას, პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით კადრების შერჩევისა და დანაწილების ლენინური პრინციპების განუხრელ დაცვას.

წიგნში მრავალმხრივ არის შემუშავებული ომისა და მშვიდობის, სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლების პრობლემები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობის ფუნდამენტური საფუძვლები.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უკავია სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების, საყრილობო დოკუმენტების განხილვის საკითხებს. გამოქვეყნებული მასალები ადასტურებს, თუ რაოდენ საფუძვლიანია ლენინის დასკვნა, რომ პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი ნამდვილად სწორი პოლიტიკაა.

მ. ს. გორბაჩოვის წიგნი აღვიძებს ცოცხალ აზრს, ეხმარება მკითხველს უკეთ გაიგოს საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანები, მათი გადაწყვეტის გზები და მეთოდები, ხელს უწყობს პარტიული და სამეურნეო ორგანოების, კომუნისტების, ყველა შეგნებული მოქალაქის ინიციატივის განვითარებას.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ და დაიბეჭდა მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში.

(საქინფორმი).

ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა თანამშრომლობის, მშვიდობის გზას სახავს

როგორც ცნობილია, წინა კვირას მოსკოვში გაიმართა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს მეცხრე წლიური კრება. კრებაზე საქართველოს სს რესპუბლიკას — ერთადერთს მოკავშირე რესპუბლიკებიდან — წარმოადგენდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ე. ჩერქეზია და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი. ეს არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის და, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო თანამშრომლობის განვითარებაში ჩვენი რესპუბლიკის წვლილის აღიარების დადასტურება.

წლევანდელ კრებაზე ამხ. ო. ე. ჩერქეზია კვლავ აირჩიეს ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს დირექტორთა გამგეობის წევრად საბჭოთა კავშირის მხრივ.

საქინფორმის კორესპონდენტი მ. ხანანაშვილი შეხვდა მას და სთხოვა გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა მოსკოვის შეხვედრის შესახებ.

— პატივცემულო ოთარ, უწინარეს ყოვლისა, გვინდა გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭო. რა ორგანოა ეს?

— ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ორგანოა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1973 წლის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ხელმოწერილი სამთავრობათაშორისო ოქმის შესაბამისად.

ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ამჟამად აერთიანებს ამერიკის 250-მდე კორპორაციას, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატას და მრეწველთა ასოციაციას, 119 საბჭოთა სამინისტროს, უწყებას, ორგანიზაციას და საწარმოს.

საბჭოს საქმიანობის მიზანია თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პირობით სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის განვითარების გზების ძიება. გადაწყვეტილებებს, რომლებსაც იღებენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს ფარგლებში, ერთობლივად ამუშავებენ საბჭოთა კავშირის და ამერიკის მხარეები.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს დირექტორთა გამგეობაში ამერიკის მხრივ შედიან ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი კორპორაციებისა და ბანკების ხელმძღვანელები, ხოლო საბჭოთა კავშირის მხრივ — მთელი რიგი სამინისტროებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

— რა არის ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს ახლანდელი კრების თავისებურება, რა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი მიიღეს ორი ქვეყნის საქმიანი წრეების მოსკოვის შეხვედრის დროს?

— მოსკოვის შეხვედრა ყველაზე ფართო და წარმომადგენლობითი სხდომა იყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს მთელი ისტორიის განმავლობაში. მან ორი ქვეყნის საქმიანი წრეების დიდი ყურადღება გამოიწვია. და ეს გასაგებია: ერთ თვეზე ნაკლები გავიდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრიდან. აქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ბევრად იყო დამოკიდებული ურთიერთობის სტაბილიზაციის პროცესი — ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო, ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის მოგვარების საკითხი.

და ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის შეხვედრა იყო მნიშვნელოვანი, საჭირო კონკრეტული ნაბიჯი ჟენევაში მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციის გზაზე.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს კრებას განსაკუთრებული საქმიანი განწყობილება შესძინა იმ დიდმა ყურადღებამ, რომელიც მას დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ამერიკელ პარტნიორებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მიხეილ სერგის ძის საუბარმა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრ მ. ბოლდრიჯთან, სიტყვამ, რომელიც მან წარმოთქვა კრემლში ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს კრების გამო გამართულ სადილზე, სადაც მან დაადასტურა სსრ კავშირის კეთილი ნება განავითაროს თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ბევრმა ბიზნესმენმა პირად საუბარში აზრთა გაზიარების დროს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებს, რომ თანამედროვე საშიშ მსოფლიოში არ შეიძლება უგულებელვყოთ ურთიერთობის ისეთი სტაბილიზატორი, როგორიც არის ვაჭრობა და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა. კრების შედეგების გამო ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ჟენევის შეხვედრის შედეგების ფართო მხარდაჭერა. რეზოლუცია ამ შედეგებს მიიჩნევს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ახალი ფაზის დასაწყისად და ოპტიმისტურად აფასებს მათი სავაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს.

— ჯერ კიდევ გვახსოვს ამერიკის მხარის ამასწინანდელი განცხადებები, რომ სსრ კავშირთან ვაჭრობა „ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაა“, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საშიშია ის, რომ საბჭოთა კავშირისათვის მიხაწვდომი გახადონ „მოწინავე ამერიკული ტექნოლოგია“. ხომ არ შეცვლილა მას შემდეგ ამერიკელ პარტნიორთა პოზიცია?

— „ცალმხრივი მოძრაობის ქუჩასთან“ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოყირჭებული შედარება დავიწყებულია და, ვიმედოვნებ, სამუდამოდ. დღეს, ჩემი აზრით, ამერიკელი პარტნიორები უფრო რეალისტურ პოზიციებს ადგანან. ეს გასაგებიც არის: ბიზნესმენები პრაქტიკული ხალხია. ჩვენი ქვეყნების სავაჭრო კონტაქტების მოდუნება, სხვადასხვაგვარი შეზღუდვის პრაქტიკა ის ორმაგი კეტი გახდა, რომლის ერთი ბოლო მაგრად მოხვდა მათს ყველაზე მგრძნობიარე ადგილს — ჯიბეს. სწორედ ამიტომ კრების მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ ამერიკის მხრივ პირად საუბრებშიც და ოფიციალურ გამოსვლებშიც მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მიმართ დისკრიმინაციული ღონისძიებების გაუქმებას, ჩვენს ქვეყანასთან ვაჭრობაში ყველა შეზღუდვის გაუქმებას. შემთხვევითი არც ის არის, რომ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია: უნდა გადაწყდეს სსრ კავშირისათვის ვაჭრობის დარგში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შექმნის საკითხი. ამერიკელ ბიზნესმენთა დღევანდელი პოზიცია საკმაოდ ნათლად აისახა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ეკონომიკური საბჭოს პრეზიდენტის ჯონ გიფენის გამონათქვამში, რომელმაც აღნიშნა, რომ ვაჭრობა ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება იყოს ურთიერთხელსაყრელი და შეწონასწორებული. ამერიკის ფირმებს შეუძლიათ ბევრი რამ იყიდონ საბჭოთა კავშირში და ეს მარტო სასარგებლო წიაღისეული როდია. საქმე შეიძლება ეხებოდეს მზა პროდუქციის დიდ მიწოდებას.

— თქვენ საგანგებოდ აღნიშნეთ, რომ მოსკოვის შეხვედრა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის გააქტიურება-გაფართოებას. შეეხება თუ არა ეს ჩვენს რესპუბლიკას?

— უწინარესად მინდა აღვნიშნო, რომ ურთიერთობის შეკვეცის ძნელ პერიოდშიც კი ამერიკის ფირმებს კონტაქტები ჰქონდათ ჩვენს რესპუბლიკასთან. ამის თვალსაჩინო დადასტურება გახდა ბაბუშერის ხილის წყლების ქარხანა, რომელიც აშენდა კომპანია „პეფსი-კოლას“ ხელშეწყობით. განვაგრძობთ თანამშრომლობას ამ ფირმასთან. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება „პეფსი-კოლას“ მიერ ქართული სამარკო ღვინოების დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ. ფირმის სპეციალისტებმა დიდად შეაფასეს ისინი და მიაჩნიათ, რომ ქართულ ღვინოს წარმატება ექნება ამერიკის ბაზარზე.

ახლაც მოსკოვში მიღწეულია წინასწარი მორიგება ამერიკის ერთ-ერთ ფირმასთან საქართველოში მისი მონაწილეობით ტარის ფაბრიკის მშენებლობის შესახებ. გაისად ფირმის წარმომადგენლები ჩამოვლენ ჩვენთან კონკრეტული მოლაპარაკების მოსაწყობად.

ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ

გამოვიდა კრებული „საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა“. კრებულში არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის ჟენევის 1985 წლის 19-21 ნოემბრის შეხვედრის დოკუმენტები და მასალები, ცნობა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების უმაღლეს ხელმძღვანელთა პრაღის 1985 წლის 21 ნოემბრის შეხვედრის შესახებ, მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ“, რომელიც მან 1985 წლის 27 ნოემბერს გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ჟენევის შეხვედრის შედეგებისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ“.

კრებული გამოუშვა პოლიტიკურმა გამომცემლობამ.

(საქინფორმი).

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘᲐ მარნეულში ბოლო წლების მანძილზე მომხდარი გარდაქმნები. მოკლე ხანში ახალგაზრდა ქალაქი რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ ინდუსტრიულ ცენტრად იქცა.

მისი შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული პროგრამა გახდა ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „ქალაქ მარნეულის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. 1990 წლამდე პერიოდისათვის შემუშავებული ეს დოკუმენტი ითვალისწინებს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის 57 დიდი ობიექტის მშენებლობას, რეკონსტრუქციას, განახლებასა და განვითარებას. დასახული ნაწილი უკვე განხორციელდა, დანარჩენი გადაწყვეტის სტადიაშია. მაგალითად, მწყობრში ჩადგა ახალი ელექტროსადგური, ხიდი, საქალაქო ბიბლიოთეკა, შეკეთებულია გზატკეცილები, კეთილმოწყობილია მთელი რიგი საწარმოების ტერიტ...

დიდმნიშვნელოვანი გარდაქმნებია გათვალისწინებული მეთორმეტე ხუთწლედშიც. მარნეულში ტრადიციულ დარგებთან — მსუბუქი, კვების და სამშენებლო ინდუსტრიის დარგებთან ერთად გაჩნდება კიდევ ერთი — მანქანათმშენებლობა. როგორც აღნიშნულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტში, აქ დასახულია დაიწყოს არასტანდარტიზებული მოწყობილობის ქარხნისა და დეტალსაგლინავი ქარხნის აგება. ეს კი ნიშნავს, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ქალაქის ეკონომიკური პოტენციალი, გაიზრდება მისი წვლილი რესპუბლიკის საერთო დოვლათში. შექმნილია მნიშვნელოვანი მარაგნაკეთი. 1984 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მარნეული დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ქალაქის მშრომელები ხუთწლედის დავალების გადაჭარბებით გამოუშვებენ...

[illegible]

პარტიული ცხოვრება: საქალაქო და რაიონულ კონფერენციებზე

მოწინავეთა მხარდამხარ

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება. გაერთიანების წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს მის მეთაურ ქარხანას, სადაც ამზადებენ ელექტროამამუშავებლებსა და სასიგნალო არმატურას.

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ამ საწარმოს მუშათა აბსოლუტური უმეტესობა. მათ შორის გახლავთ ამწყობი ზეინკალი, კომუნისტი მაია გურგენაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

სურათზე: მაია გურგენაშვილი.

ა. საკაძის ფოტო.

ტყვარჩელელთა მთავარი საზრუნავი

[illegible]

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

[illegible]

პარტიის გურჯაანის რაიკომში

[illegible]

პარტიის ახალქალაქის რაიკომში

[illegible]

პარტიის ცაგერის რაიკომში

[illegible]

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

უნდა განისაზღვროს პრობლემები და მიმართულებანი

[illegible]

ოცნებას კაცი გაუჩარებია...

მართული აეროსტატები სოფლის მეურნეობაში

...ფათო ზონიდან გასვლა და თავისუფალი დრეიფი, ვიდრე არ განთავისუფლდება შტორმისაგან მისთვის დასაჯდომი ადგილი, და სხვა.

1900 წელს კავალერიის გენერალმა, გერმანელმა ფ. ცეპელინმა პირველმა ააგო სამგზავრო მართული აეროსტატი. 1900 წლიდან 1928 წლამდე მან შექმნა 130 აპარატი, იმგზავრა ჩრდილოეთ პოლუსზე, რეგულარულად ცურავდა ევროპისა და ამერიკის შუა, 1929 წელს კი იმოგზაურა დედამიწის ირგვლივ და სამჯერ გაჩერდა: ტოკიოში, ლოს-ანჯელესში და შტატ ახალ ინგლისში. საბჭოთა მართულმა აეროსტატმა ჰაერში ძირსდაუშვებლად დაჰყო 130 საათს, გადაცურა რუსეთის საჰაერო სივრცე — 4,800 კილომეტრი, მისთვის ხელი არ შეუშლია ძლიერ ქარებს, წვიმებსა და ნისლს.

...

ავამაღლოთ მასების შრომითი აქტიურობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საყრილობო დოკუმენტებში ჩამოყალიბებულმა პარტიის საპროგრამო დებულებებმა მშრომელთა პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტიურობის დიდი ამავლობა გამოიწვია, მასების, შრომითი ინიციატივის ზრდის მძლავრი წყარო გახდა.

ეს თქვეს მოსკოვში 18 დეკემბერს გამართული საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის მონაწილეებმა. განიხილეს პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა კოლექტივების დარაზმვის დარგში.

მომხსენებელმა — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ დღეს პროფკავშირების მთელი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანობა უნდა აიყვანონ ახალ, უფრო მაღალ დონეზე, რომელიც შეესაბამება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის პარტიის მიერ აღებულ კურსს. ამ მუშაობის ღერძია საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება. ყველა უბანზე დამკვრელური მუშაობა ბევრად განაპირობებს 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას, მეთორმეტე ხუთწლედის კარგად დაწყებას.

აღინიშნა, რომ შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გადიდებას. წუნისმკეთებლები მკაცრ ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ, რათა ისინი გრძნობდნენ, რომ გარდაუვალია მათ მიმართ მატერიალური და მორალური ზემოქმედების ღონისძიებანი.

ორატორებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირების აქტიურ მონაწილეობას ისეთი საკვანძო პრობლემების გადაჭრაში, როგორიც არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება. პლენუმმა მხარი დაუჭირა ქვეყნის მოწინავე კოლექტივების ინიციატივას, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა ერთი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალებანი, წელიწადში სულ ცოტა ორ დღეს იმუშაონ დაზოგილი რესურსებით. თითოეული პროფკავშირული ორგანიზაციის უპირველესი საქმე უნდა იყოს შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების შემდგომი სრულყოფა.

პლენუმმა დაავალა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით მტკიცედ ილვაწონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისათვის, უზრუნველყონ პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრება.

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჯერჯერობით სრულად არ იყენებენ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონით გათვალისწინებულ დამრღვევებზე ზემოქმედების ღონისძიებებს. ადგილებზე საკმარისად აქტიურად არ უწევენ პროპაგანდას სვერდლოვსკელთა გამოცდილებას მოძრაობის — „შრომითს დისციპლინას — კოლექტივის გარანტია" — ორგანიზაციის დარგში. პროფკავშირები ვალდებული არიან უფრო ენერგიულად, მიზანდასახულად მონაწილეობდნენ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში. და ამასთან დაკავშირებით სულ უფრო საჭირო ხდება ძირეულად გაუმჯობესდეს კულტურისა და სპორტის დაწესებულებების, პროფკავშირების საქმიანობა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ პროფესიული კავშირების წევრები წარმატებით შეასრულებენ სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

პლენუმმა მოიწონა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების 1986 წლის ბიუჯეტი და დაამტკიცა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1986 წლის ბიუჯეტი.

განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. საკავშირო პროფსაბჭოს მდივნად არჩეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ლ. დ. კაზაკოვი, რომელიც მუშაობდა „ლენაზამშენის" ტრესტის მემონტაჟე-მებეტონეთა ბრიგადირად. (საქდესი).

აღვზარდოთ პატრიოტები, სპეციალისტები

მთლიანად წარმატებით წყდება პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ეხება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ღირსეული შევსების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სპეციალისტების მომზადებას დოსაafის სისტემაში. ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე, რომელიც 18 დეკემბერს გაიმართა თბილისში.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა გ. ნანეიშვილმა და მისმა მოადგილემ პოლკოვნიკმა გ. ფანცულაიამ.

ემზადებიან რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, დოსააფის ორგანიზაციებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ხაზგასმით აღინიშნა მოხსენებებსა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში. წარმატებით ხორციელდება ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, სამხედრო-ტექნიკური და ფიზიკური მომზადება თბილისში, ბათუმში, ფოთში, აგრეთვე გურჯაანის, წულუკიძის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში. აღნიშნეს რა თავდაცვითი საზოგადოების საქმიანობის დადებითი მხარეები, პლენუმის მონაწილენი შეეხნენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ახალგაზრდების მომზადებაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ეთმობა მეცადინეობას სამხედრო-გამოყენებითი სახეობების სპორტში. ახმეტის, სიღნაღის, ყვარლის, წითელწყაროს რაიონებში სამხედრო-პატრიოტული ღონისძიებანი გეგმაზომიერად არ ხორციელდება, სათანადო ყურადღება არ ეთმობა სსრ კავშირის კონსტიტუციის „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" კანონის მოთხოვნების პროპაგანდას.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება. (საქინფორმი).

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

20 დეკემბერი ● საქდესი იუწყება

ვიღვაწოთ მშვიდობის განსამტკიცებლად

გენერალური ასამბლეის სესიის შედეგებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი. განიარაღების, გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების ალაგმვის საკითხები, კოსმოსურ სივრცეში მისი გადატანის დაუშვებლობა კვლავაც ცენტრალურ ადგილს დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 40-ე სესიის შედეგებს მიეძღვნა.

მომავალ წელს, რომელიც საერთაშორისო გაერთიანებამ მშვიდობის წლად გამოაცხადა, განსაკუთრებით საჭიროა შევინარჩუნოთ ხალხთა ცხოვრების ის დადებითი მომენტები, რომლებითაც აღინიშნა მიმავალი წელი, ფაშიზმისა და ნაციზმის განადგურების 40 წლისთავის წელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორმოცი წლის იუბილეს წელი, თქვა ხ. პერეს დე კუელიარმა. ამასთან დაკავშირებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახლახან ჟენევაში გამართულმა უმაღლესი დონის შეხვედრამ დადებითი გავლენა მოახდინა საერთაშორისო კლიმატზე. მისი აზრით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და პრეზიდენტ რ. რეიგანის მოლაპარაკებამ სასიკეთო ატმოსფერო შექმნა კაცობრიობის ბევრი პრობლემის გადასაწყვეტად.

განიხილა რა მსოფლიოში ამჟამად შექმნილი მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, პერეს დე კუელიარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო ძალმომრეობას ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ლიბანში. საჭიროა, თქვა მან, უმოკლეს დროში მოვიწვიოთ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. საკითხის მხოლოდ ასეთ გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს მშვიდობა ამ მნიშვნელოვან რაიონში, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

შეეხო რა ცენტრალურ ამერიკაში შექმნილ მდგომარეობას, პერეს დე კუელიარმა მას უწოდა მერყევი, რაც აიხსნება ბევრი ფაქტორით, მათ შორის ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით. უნდა შევინარჩუნოთ კონტადორული პროცესი რეგიონის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად, თქვა მან.

ძირითად საკითხთა შორის, რომლებიც გენერალური ასამბლეის 40-ე სესიამ განიხილა, ხ. პერეს დე კუელიარმა გამოყო აგრეთვე აფრიკაში შექმნილი ვითარება, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის მათი საგარეო დავალიანება.

● საფრანგეთი

მოიწონეს ბიუჯეტის პროექტი

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ საბოლოოდ მოიწონა მთავრობის მიერ შემუშავებული 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

ამ დოკუმენტს ხმა მისცეს მხოლოდ სოციალისტმა დეპუტატებმა. კომუნისტთა ჯგუფმა პარლამენტში მოწყობილი განხილვის მთელ მანძილზე მწვავედ გააკრიტიკა ბიუჯეტის პროექტი. კომუნისტთა აზრით, მასში გათვალისწინებული „მკაცრი ეკონომიის" პოლიტიკის გაგრძობა საგრძნობ დარტყმას მიაყენებს მშრომელთა ინტერესებს. ბიუჯეტის პროექტით დასახულია აგრეთვე საფრანგეთის სამხედრო ხარჯების არსებითი ზრდა, უწინარესად, ბირთვული შეიარაღების არსენალის გასაძლიერებლად.

● ავღანეთ-პაკისტანი

მოლაპარაკება დამთავრდა

ჟენევა. აქ დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დ. კორდოვესის მეშვეობით ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი.

ავღანეთის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. მ. დოსტი, პაკისტანისას — პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. იაკუბ ხანი.

ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების შემდეგი რაუნდი ნავარაუდებია გაიმართოს 1986 წლის თებერვლის დამლევსა და მარტის დამდეგს.

● აშშ

ოპოზიციის მიუხედავად

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის შემთანხმებელმა კომიტეტმა მოიწონა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამთავრობო უწყებების, მათ შორის პენტაგონის მიმდინარე საფინანსო წლის ასიგნებათა კანონპროექტი, რომელიც მას საბოლოო დამუშავებისათვის წარუდგინეს.

ორი დღის წინათ წარმომადგენელთა პალატამ მხარი არ დაუჭირა ამ კანონპროექტს, რადგან მასში დაგეგმილი იყო უდიდესი სამხედრო ხარჯები, რომლებიც რეკორდულ დონეს — 298,7 მილიარდ დოლარს აღწევდა. კანონპროექტის ახალ ვერსიაში 1986 საფინანსო წლის ასიგნებანი სამხედრო პროგრამებისათვის შემცირებულია 1,3 მილიარდი დოლარით. მაგრამ წარმომადგენელთა პალატაში ფართო ოპოზიციის მიუხედავად შემთანხმებელი კომიტეტის წევრებმა ხელუხლებლად დატოვეს ბარბაროსული ქიმიური იარაღის ეგრეთ წოდებული ბინარული საბრძოლო მასალის ახალი თაობის სერიული წარმოების დაწყებისათვის განკუთვნილი 126 მილიონი დოლარი.

ე. კენედის განცხადება

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ სენატორმა-დემოკრატმა მასაჩუსეტსის შტატისაგან ედვარდ კენედიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ ეცდება დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებას 1988 წლის არჩევნებში. თავის განცხადებაში სენატორი ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ სენატორის პოსტზე მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ თეთრ სახლში მოხვედრას ეცდება. ეი-ბი-სი ტელეკომპანია არ გამორიცხავს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი შეიძლება პირადი ხასიათის მოსაზრებები იყოს. როგორც ცნობილია, სენატორის ორივე უფროსი ძმა — პრეზიდენტი ჯონ კენედი და რობერტ კენედი პოლიტიკურ შეთქმულებებს შეეწირნენ.

● ინდოეთი

სეპარატისტთა გამოხდომა

დელი. ორი კაცი, მათ შორის უშიშროების ძალების კაპიტანი, მოკვდა და სამი დაიჭრა ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მანიპურის შტატში მოკალათებული იატაკქვეშა სეპარატისტული დაჯგუფების წევრთა შეიარაღებული გამოხდომის შედეგად.

იუნის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, თავდასხმა მოხდა ქალაქ ტამენგლონის მახლობლად. ხელისუფლებანი ახორციელებენ ღონისძიებებს ექსტრემისტთა შესაპყრობად.

მოკლედ

● **ულან-ბატორი**

გამოვიდა „მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის მოკლე ისტორიის" მესამე გამოცემა. გამოცემაში, რომელიც მოამზადა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტმა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე განზოგადებულია მონღოლი კომუნისტების პარტიის ისტორიული გზა და ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის მისი გამოცდილება.

● **სტოკჰოლმი**

„ბირთვული" ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიო ექიმთა" საერთაშორისო მოძრაობის თანათავმჯდომარეებმა — საბჭოთა აკადემიკოსმა ჩაზოვმა და ამერიკელმა პროფესორმა ლაუნმა შვეციის გაზეთ „ნორშენსფლამანისათვის" მიცემულ ინტერვიუში მხარი დაუჭირეს ექიმთა იმ ძალისხმევის შემდგომ გაფართოებას, რომლის მიზანია ბირთვული საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნა ქვეყნად სიცოცხლის შენარჩუნების ინტერესებისათვის.

● **ბეირუთი**

ცნობილი გახდა ლიბანში ისრაელი ოკუპანტების ახალი ბოროტმოქმედება. გაზეთმა „ან-ნიდამ" გამოაქვეყნა ანსარის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილ პატიმართა გაერთიანების წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ დამპყრობთა მიერ სამხრეთ ლიბანში შექმნილ ალ-ხიამის საპყრობილეში 11 პატიმარი დაიღუპა. ისინი სასტიკი ტანჯვა-წამების მსხვერპლი გახდნენ.

● **ლუსაკა**

აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის პრეფერენციული სავაჭრო ზონის წევრი ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა თათბირი გაიხსნა ზამბიის დედაქალაქში. შეხვედრის მონაწილეები დასახავენ მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის გაფართოების გზებს, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ სამხრეთ აფრიკის რასისტული რესპუბლიკის ცდებს მოახდინოს ამ სახელმწიფოთა მდგომარეობის დესტაბილიზაცია.

● ტოკიო

ზეგავლენას არ დაემორჩილნენ

ტოკიო. ოპოზიციური პარტიები არ დაემორჩილნენ იაპონიაში მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ზეგავლენას, რომელიც ცდილობდა მიეღწია იმისათვის, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ახლანდელ სესიაზე მიეღო საარჩევნო ოლქების რეფორმის კანონპროექტი.

აქ გაიმართა პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პარტიის გენერალური მდივნების თათბირი, რომელმაც ვერ გამოიყვანა ისინი პარლამენტში საარჩევნო ოლქების რეფორმის კანონპროექტის განხილვის დროს შექმნილი ჩიხიდან. ოპოზიციამ ერთობლივი ძალისხმევით უარყო კონსერვატორთა წინადადებანი. კანონპროექტმა ქვეყანაში დემოკრატიული ძალების პროტესტები გამოიწვია, რადგან საარჩევნო სისტემის რეფორმა ისეა შედგენილი, რომ მეტი უპირატესობა ენიჭებათ ლიბერალ-დემოკრატებს და მცირდება პროგრესულ ძალების შესაძლებლობანი, რათა პარლამენტში გაიყვანონ თავიანთი წარმომადგენლები.

● იუგოსლავია

განიხილეს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები

კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

ბელგრადი. აქ გაიმართა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომის მონაწილეებმა, იუწყება ტანიუგის სააგენტო, განიხილეს ეკონომიკური პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები, აგრეთვე რესპუბლიკებისა და ავტონომიური მხარეების პარტიული ორგანიზაციების ცენტრალური და სამხარეო კომიტეტების პრეზიდიუმების ამოცანები იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986 წლისა და მომავალი ხუთწლიანი პერიოდისათვის გეგმისა და ბიუჯეტის დროულად მიღებასთან დაკავშირებით.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, ნათქვამია ცნობაში, მოითხოვს კომუნისტებისაგან მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარონ იმას, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინაში მიმდინარე წლის დამლევამდე დამთავრდეს ღია საკითხთა შეთანხმება, რომლებზეც დამოკიდებულია ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების წარმატებული მიღება. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომუნისტთა, იუგოსლავიის საზოგადოების მთელი ორგანიზებული სოციალისტური ძალების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ის, რომ მკაცრად დაიცვან და განუხრელად განახორციელონ პარტიული გადაწყვეტილებანი ეკონომიკური სტაბილიზაციის დარგში, თანამიმდევრულად განახორციელონ სახალხო-სამეურნეო გეგმები.

სხდომაზე განიხილეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს (მთავრობის) ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი ჩერნოგორიისა და მაკედონიის სოციალისტური რესპუბლიკების, აგრეთვე კოსოვოს სოციალისტური ავტონომიური მხარის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ განსაკუთრებით საჭიროა არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

პოლიტიკური ნახატი

„**ვაშინგტონის** ადმინისტრაცია, რომელმაც საერთაშორისო ტერორიზმი სახელმწიფო პოლიტიკად აქცია, ცდილობს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მოქალაქეობრივი უფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლები ტერორისტებად მონათლოს". (გაზეთებიდან).

ტრანსპარანტებზე, დემონსტრანტებს რომ უჭირავთ, წარწერილია: — „არ დავანებებთ, რომ ჩვენი შვილები ბირთვულ ხანძარში დაიფერფლონ!", „ახლავე აიკრძალოს ბირთვული იარაღი, სანამ იგი კაცობრიობას მოსპობდეს!", „ევროპას არ სჭირდება რაკეტები!".

ნახატი გაზეთ „დეილი უორლდიდან" (აშშ).

კულტურის ქრონიკა

სსრ კავშირის დღეები

პნომპენი. კამპუჩიის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა აქ მოწყობილი საბჭოთა კავშირის დღეები. საბჭოეთს წარმოადგენდა საქართველოს სს რესპუბლიკა. მისი წარმოგზავნილები იყვნენ ხელოვნების მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები.

კამპუჩიელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის დღეების ფარგლებში მოწყობილმა საბჭოთა ფილმების კვირეულმა, წიგნებისა და ხალხური შემოქმედების ნივთების გამოფენებმა, ფოტოგამოფენამ „თბილისი და თბილისელები". დიდი წარმატება ხვდა წილად აფხაზეთის მხატვრული კოლექტივის კონცერტებს, რომელმაც თავისი შემოქმედება გააცნო პნომპენისა და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლებს.

საბჭოთა კავშირის დღეების ცენტრალური მოვლენა გახდა მის დედაქალაქში კამპუჩია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის განყოფილების გახსნა.

ორ ქვეყანას შორის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა დამყარდა. კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკაში მუდამ წარმატება აქვს საბჭოთა ფილმებს, რომლებიც რეგულარულად გადის რესპუბლიკის ეკრანებზე, ყოველთვის ხალხმრავლობაა წიგნის დახლებთან, სადაც იყიდება საბჭოთა ბეჭდვითი პროდუქცია. სასწავლებლებში და სსრ კავშირის დახმარებით ორგანიზებულ კურსებზე ბევრი კამპუჩიელი სწავლობს რუსულ ენას.

მეცნიერის ფართო თვალსაწიერო

ალექსანდრე ბაკურაძის დაბადების 80 წლისთავის გამო

ფართო და მრავალმხრივია თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერის, მსოფლიოში აღიარებული ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლისა და ქართული ექსპერიმენტული გასტროენტეროლოგიური სკოლის დამაარსებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ალექსანდრე ბაკურაძის მეცნიერული თვალსაწიერი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი ღირსეულად ემსახურება ფიზიოლოგიის მეცნიერების რთულ, საინტერესო და პრაქტიკული მედიცინისათვის აუცილებელ დარგს და ფასდაუდებელი ამაგი დასდო მის განვითარებას საბჭოთა კავშირში. მისი თაოსნობით შეიქმნა ცნობილი სკოლა საჭმლის მონელების ფიზიოლოგიაში, დამუშავდა ფიზიოლოგიური მექანიზმების საფუძველზე განვითარებულ დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი რაციონალური მეთოდები.

55 წელია მუშაობს ა. ბაკურაძე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრაზე და აქედან ორმოცი წელი მისი ხელმძღვანელია.

1933 წლიდან ა. ბაკურაძე შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ ამ ინსტიტუტის დირექტორიც იყო, ახლა კი ერთ-ერთი წამყვანი, პრიმატების ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელია.

ა. ბაკურაძე მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა — ი. პავლოვის, ი. ბერიტაშვილის, ი. რაზენკოვის, ვ. ლონდონის ლაბორატორიებში დახელოვნდა. მათთან უშუალო თანამშრომლობით, მათი ხელმძღვანელობით შეიძინა უმდიდრესი გამოცდილება და ცოდნა, ბრწყინვალე ქირურგიული ტექნიკა და ექსპერიმენტული ალღო, მადლიანი პედაგოგიური ნიჭი და შემდეგ გულუხვად გადასცა და მოახმარა თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს, რომელთაგან ბევრნი დღეს თვითონ ხელმძღვანელობენ ავტორიტეტულ სამეცნიერო კოლექტივებსა და ლაბორატორიებს.

ღვაწლმოსილმა მკვლევარმა მნიშვნელოვანი შრომებით გაამდიდრა ფიზიოლოგიის თითქმის ყველა დარგი. მაგრამ უწინარესად აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული დამსახურება ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის, ექსპერიმენტული კურორტოლოგიისა და ბალნეოლოგიის კვლევის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც ა. ბაკურაძე აღიარებულია საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მკვლევრად. თეორიული, ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტასთან ერთად მეცნიერების ამ სფეროში ფართოდ არის ცნობილი და წარმატებით გამოიყენება მის მიერ დამუშავებული კვლევის მეთოდები, აგრეთვე კლინიკურ გასტროენტეროლოგიაში დამუშავებული მკურნალობის მეთოდები, რომლებსაც დღესაც წარმატებით იყენებენ სამკურნალო დაწესებულებებში.

აკადემიკოს ი. ბერიტაშვილთან ერთად პროფესორმა ა. ბაკურაძემ დიდი წვლილი შეიტანა ზოგადი შეკავების პრობლემების დამუშავებაში, ამით გაამდიდრა ნეიროფიზიოლოგია და შუქი მოჰფინა თავისა და ზურგის ტვინის მოქმედების ბევრ უცნობ, პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტვინის მოქმედების მექანიზმში მეტად მნიშვნელოვანი პროცესის — კოლატერალური შეკავების აღმოჩენა.

არანაკლებ საყურადღებო და საგულისხმოა ა. ბაკურაძის გამოკვლევები თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ისეთ დარგებში, როგორიც არის მეხსიერების პრობლემა და ქცევათმეცნიერება. საქართველოში პირველად მან დაიწყო პრიმატებში ამ რთული საკითხის შესწავლა და დღეს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორია, სადაც მისი ხელმძღვანელობით ამ საკითხებს ინტენსიურად იკვლევენ, ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ აღიარებული სამეცნიერო კერაა.

დიდია მეცნიერის დამსახურება თანამედროვე კურორტოლოგიისა და ბალნეოლოგიის განვითარების საქმეშიც. საერთო აღიარება მოიპოვა მის მიერ დამუშავებულმა ბალნეოფაქტორების მოქმედების მექანიზმის ნეირო-ჰუმორულმა თეორიამ და კუჭისა და პანკრეასის ფუნქციებზე მინერალური წყლების მოქმედების მექანიზმის გასტრო-რენალურმა თეორიამ.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ა. ბაკურაძე დიდ საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ მუშაობასაც ეწევა. არის მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. წლების განმავლობაში იყო ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, საკავშირო ჟურნალ „უსპეხი ფიზიოლოგიჩესკიხ ნაუკის" სარედაქციო საბჭოს წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სექციის ხელმძღვანელი.

მისი მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლი სათანადოდ არის დაფასებული: მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებულია ორი „შრომის წითელი დროშის" ორდენით, „საპატიო ნიშნის ორდენით", არის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, სლოვაკიის სამედიცინო საზოგადოების მედლის მფლობელი.

ალექსანდრე ბაკურაძის დიდი ერუდიცია, უკომპრომისობა, ზნეობრივი სისპეტაკე, მეცნიერული, ორგანიზაციული, პედაგოგიური და ცხოვრებისეული გამოცდილება სამაგალითოა მისი ყველა მოწაფისა და აღზრდილისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ა. ასათიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

ა. აბესაძე,
ა. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, პროფესორები.

მეცნიერება და ტექნიკა

მანქანური თარგმნა: პერსპექტივები და რეალობა

სპეციალისტების აზრით, ჩვენი საუკუნის მიწურულისათვის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები დიდი სიზუსტით შეძლებენ ინფორმაციის თარგმნას ერთი ენიდან მეორეზე. ამტკიცებენ, რომ 20 წლის შემდეგ შეიქმნება პორტატული სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეტყველებითი ინფორმაციის თარგმნას და უცხო ენაზე მის გამოთქმას.

ამჟამად მანქანური თარგმნის სისტემები ვერ შეცვლიან მთარგმნელებს, მაგრამ მათი გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის მთარგმნელთა შრომის ნაყოფიერებას.

მანქანური თარგმნის სისტემებს ამუშავებენ ამერიკის ფირმები — „ოტომეიტედ ლენგვიჯ პროცესინგ სისტემზი" (იუტის შტატი), „ლოგოსი" (მასაჩუსეტსის შტატი), „უორლდ ტრანსლეიშნ სენტერი" (კალიფორნიის შტატი), „უეიდნერი" (ილინოისის შტატი), აგრეთვე იაპონიის ფირმები „ფუძიცუ", „ტოსიბა".

უცხო ენებიდან თარგმნაზე მსოფლიოში ყოველწლიურად 20 მილიარდი დოლარი იხარჯება და ეს თანხა ასევე ყოველწლიურად 15 პროცენტით იზრდება.

აღნიშნავენ, რომ ელექტრონული სისტემების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია მარტივი ტექსტების, მაგალითად, ექსპლოატაციის ინსტრუქციების თარგმნისას, ხოლო თუ წინადადებები რთულია, სიტყვებს კი მრავალი მნიშვნელობა აქვს, ეს თარგმნისას შეცდომებს იწვევს.

მანქანური თარგმნის სისტემების შექმნაში პროგრესი უზრუნველყო ისეთი პროგრამების შემუშავებამ, რომლებიც კომპიუტერებს საშუალებას აძლევს წინადადებათა დონეზე გაანალიზონ ტექსტები და თარგმნონ ცალკეული სიტყვები იმ კონტექსტის შესაბამისად, რომელშიც ნახმარია ისინი. ამასთან თარგმნის სიზუსტე 50 პროცენტიდან 80 პროცენტამდე და მეტად მატულობს.

„ქსეროქსის" ფირმა 1979 წლიდან იყენებს „სისტრანის" სისტემას, რომელსაც თან დაურთო სპეციალური ტერმინოლოგია ექვს ენაზე და წესები, რომლებიც ითვალისწინებს ორიგინალური ინგლისური ტექსტების გამარტივებას. მაგრამ ამ სისტემის გამოყენება მხოლოდ უნივერსალურ გამოთვლით მანქანებზე შეიძლება.

„ბრიგჰემ იანგის" ფირმამ („უეიდნერის" ფირმის განყოფილება ილინოისის შტატში) 20 მილიონი დოლარი დახარჯა მანქანური თარგმნის სისტემების შესამუშავებლად, რომლებიც გათვალისწინებულია მიკრო და მინი ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისათვის და რომლებიც საათში 1500-2000 სიტყვას თარგმნიან. ეს სისტემები 10.000 დოლარი და მეტი ღირს. 50.000 დოლარად ღირებული სისტემები საათში 6000-8000 სიტყვას თარგმნიან და გვერდზე მხოლოდ 3-4 შეცდომას უშვებენ. ვარაუდობენ, რომ ფირმის ამ პროდუქციის გასაღება მიმდინარე წელს ფულადი გამოხატულებით 7,5 მილიონ დოლარს მიაღწევს.

იაპონიის „ბრეივისის" ფირმა „უეიდნერის" ფირმის სისტემის მოდიფიკაციას მიმართავს, რათა იგი მანქანური თარგმნისათვის გამოიყენონ იაპონურიდან ინგლისურ ენაზე პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის მეშვეობით. ასეთი პროგრამის სავარაუდო ფასია 2500 დოლარი.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისათვის 1975 წელს 300 ათას დოლარად შეიძინეს მანქანური თარგმნის „სისტრანის" სისტემა და მის გაუმჯობესებას 4,5 მილიონი დოლარი მოახმარეს. ახლა ეს სისტემა ინგლისურიდან ფრანგულად და იტალიურად და ფრანგულიდან ინგლისურად თარგმნის ინფორმაციას, მალე კი ინგლისურიდან და ფრანგულიდან გერმანულად გადათარგმნის. ამ სისტემის მწარმოებლობა საათში მილიონი სიტყვაა, მომავალში კი ეს მწარმოებლობა კიდევ გაიზრდება ცენტრალურ ელექტრონულ-გამოთვლითს მანქანაში დამატებითი ტექსტობრივი პროცესების ჩართვის გზით.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შეფასებით, „სისტრანის" სისტემის დანერგვამ ინფორმაციის თარგმნის ხარჯები ორჯერ შეამცირა და თარგმნის სიჩქარეც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მომავალში გათვალისწინებულია მანქანური თარგმნის სისტემებში გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი, რათა ელექტრონულ-გამოთვლით მანქანას თავისუფლად „ესმოდეს" ადამიანის მეტყველება.

მაგალითად, „ნიპონ ტელეგრაფ ენდ ტელეფონ პაბლიკ კორპორეიშნის" ფირმა ამუშავებს კომპიუტერს, რომელიც სინქრონულად გადათარგმნის მეტყველებას და ორ აბონენტს საშუალებას მისცემს ტელეფონით სხვადასხვა ენაზე ისაუბრონ.

„მაკროელექტრონიქს ენდ კომპიუტერ ტექნოლოჯის" ფირმის (ოსტინი, ტეხასის შტატი) მკვლევარები ამუშავებენ ხელოვნურ ენას, რომელიც კომპიუტერებს საშუალებას მისცემს ნებისმიერი არსებული ენა გარდაქმნან ლოგიკურ სიმბოლოებად.

„ფუძიცუს" და „ტოსიბას" ფირმები სხვაგვარად წყვეტენ ამ პრობლემას. ისინი შუალედურ ენას ამუშავებენ იაპონურიდან ინგლისურ ენაზე ინფორმაციის თარგმნის მიზნით. „ლოგოსის" ფირმამ ამავე მიზნით შეიმუშავა ენა, რომლის მეშვეობითაც ინგლისურ წინადადებებს აანალიზებენ და გარდაქმნიან განსაკუთრებულ სიმბოლოებად, რომელთა თანამიმდევრობას ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანა იაპონური ენის კანონების შესაბამისად შეცვლის და საჭირო იაპონურ სიტყვებს შეარჩევს. ვარაუდობენ, რომ თარგმნის ასეთი პროცესის სამართავად საჭირო იქნება 100 რთული ალგორითმი, ჯერჯერობით კი მხოლოდ 30-ია დამუშავებული.

ეს ფირმები უშვებენ მანქანური თარგმნის სისტემებს, რომლებიც სიტყვებს კონტექსტში აანალიზებენ, რაც ზრდის თარგმნის სიზუსტეს. მაგალითად, „ფუძიცუს" ფირმამ დაამუშავა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საათში 60 ათასი სიტყვის თარგმნას 90 პროცენტის სიზუსტით, თუ ტექსტი წინასწარ იქნება რედაქტირებული.

ერთ-ერთმა იაპონურმა ფირმამ შექმნა სისტემა, რომელიც საათში 100 ათას სიტყვას თარგმნის და თარგმნილი ტექსტის 80 პროცენტი გასაგებია ორიგინალის დაუხმარებლად. ფირმა იმედოვნებს, რომ შექმნის ელექტრონულ-გამოთვლით მანქანას, რომელიც თარგმნის პროცესს 10-ჯერ დააჩქარებს და ინფორმაციის თარგმნის ხარჯებს 80 პროცენტით შეამცირებს.

ევროპაში ხორციელდება 18 მილიონ დოლარად ღირებული ხუთწლიანი პროგრამა; იგი ითვალისწინებს შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთდროულ თარგმნას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ყველა ოფიციალურ ენაზე.

მიეძღვნა ტიციან ტაბიძეს

ლიტერატორთა ცენტრალური სახლის გაჩირაღდნებული დიდი დარბაზი მოსკოვში, გერცენის ქუჩაზე... პრეზიდიუმში არიან ცნობილი რუსი და ქართველი პოეტები. მაგიდაზე წითელი მიხაკი დევს გამოჩენილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის მოსაგონებლად...

ასე დაიწყო თანამედროვე ქართული პოეზიის საღამო, რომელიც ტიციან ტაბიძის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა...

საღამო გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარემ პოეტმა ე. ევტუშენკომ. შემდეგ გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე. მან წაიკითხა ტ. ტაბიძისადმი მიძღვნილი ბ. პასტერნაკის ლექსი, გაიხსენა შეხვედრები ტიციანთან, გამოჩენილ რუს პოეტებთან და ამ შეხვედრების განუმეორებელი სითბო და ატმოსფერო.

დარბაზში გაისმის ქართველი პოეტების ლექსები, ამ ლექსების თარგმანს კითხულობენ რუსი პოეტები. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ვლ. სოლოუხინი, მ. სინელნიკოვი, ო. ჩუხონცევი, ა. მეჟიროვი.

შემდეგ გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე შ. ნიშნიანიძე. იგი კითხულობს ტ. ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსს.

ე. ევტუშენკომ შ. ნიშნიანიძის ერთ-ერთი ლექსის საკუთარი თარგმანი წაიკითხა. პოეზიით სუნთქავს მთელი დარბაზი. გამოდიან პოეტები ხ. ბერულავა, ვლ. ლეონოვიჩი, ხ. გაგუა, ე. ნიკოლაევსკაია, ჯ. ჩარკვიანი, მ. სინელნიკოვი, ო. ჭელიძე, ლ. ოზეროვი, რ. ამაშუკელი. სულგანაბული უსმენს ხალხი ი. რიაშენცევის და ე. ევტუშენკოს გამოსვლას. ისინი ჯ. ჩარკვიანის ლექსების საკუთარ თარგმანს კითხულობენ. შემდეგ ე. ევტუშენკო კითხულობს ბ. ახმადულინას ლექსს, მიძღვნილს ტიციან ტაბიძისადმი. თვით ბ. ახმადულინა ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო საღამოს.

საღამოს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ. მეძმარიაშვილი.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

შემოქმედებითი მეგობრობის ნაყოფი

სოხუმი. (საკ. კორ.). კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართულ თეატრს შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს ჩეხოსლოვაკიის თეატრებთან. ბრატისლავის თეატრსა და ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიაში საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სოხუმის ქართული დრამატული თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა გ. ქავთარაძემ რამდენიმე სპექტაკლი დადგა. იგი ამჟამადაც ჩეხოსლოვაკიაში იმყოფება შემოქმედებითი მივლინებით. ასევე სლოვაკმა რეჟისორებმა პ. ოპალენიმ და ა. შულაიმ სოხუმის ქართულ თეატრში დადგეს სპექტაკლები.

ამჟამად სოხუმში იმყოფება ქალაქ ნიტრის ანდრეა ბაგარას სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი კაროლ სპიშაკი. სოხუმის თეატრში მან დადგა ო. რუსნიაკის „ღამე მშვიდობისა, მელიებო!", რომლის პრემიერაც ამ დღეებში გაიმართა.

სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ირჟი ზობაჩს, მხატვარია დ. დათუკიშვილი.

სპექტაკლში მთავარი როლები განასახიერეს მსახიობებმა მ. სოლომონიამ, ნ. ფერცულიანმა, აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა არტისტებმა ლ. პაპუაშვილმა, დ. ჯაიანმა, ვ. აროვლიანმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. ბექაურმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თ. ბაბლიძემ.

აღმოჩენა

მოსკოვი, 19 დეკემბერი. (საკ-ტასი). დღეს სსრ კავშირის აღმოჩენათა სახელმწიფო რეესტრში შეიტანეს მეცნიერული აღმოჩენა ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის, კატალიზისა და ელექტროქიმიის დარგში. მოსკოველ მეცნიერთა ჯგუფმა მიაგნო ფერმენტების აქამდე უცნობ თვისებას.

დადგინდა, რომ სხვა კომპონენტებთან ერთად ელექტროგამტარი მასალების გამოყენებით შესაძლებელია დიდი სიჩქარით მოეწყოს ელექტროქიმიური რეაქციები. ფუნდამენტური შრომის შედეგები უფრო სრულყოფილი დენის წყაროებისა და მარეგისტრირებელი მოწყობილობის შექმნის ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

დეკაბრისტთა აჯანყების 160 წლისთავისათვის

უფრთხილდებიან წმიდათაწმიდა ხსოვნას

ალექსანდრე მურავიოვის, პეტერბურგში სენატის მოედანზე დეკემბრის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის პირდაპირი შთამომავლები მკვიდრი თბილისელები არიან. ისინი ცხოვრობენ ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე დიდ ძველებურ სახლში. ესენი არიან და-ძმა ელენე და ერასტ ვაჩნაძეები.

— გასული საუკუნის დამლევს ჩვენი მამა ალექსანდრე ვაჩნაძე სტუმრად იყო პეტერბურგში, — თქვა ერასტ ვაჩნაძემ. — მან იქ გაიცნო ალექსანდრე მურავიოვის შვილიშვილი — ნატალია. ახალგაზრდებმა თბილისში იქორწინეს, ხოლო დასახლდნენ კახეთში, სოფელ ბაკურციხეში. დედას ძალიან უყვარდა საქართველო, მისი ხალხი.

20-იან წლებში საქართველოში ჩამოვიდა საცხოვრებლად მათი ბებიაც ელენე ალექსანდრეს ასული მურავიოვა-სამოილოვიჩი. იგი დაიბადა ციმბირში, ტობოლსკში, სადაც გადასახლებული იყო მამამისი — ალექსანდრე მიხეილის ძე. ელენე მურავიოვა დაკრძალულია თბილისში თავის ქალიშვილთან ერთად. სენატის მოედანზე მომხდარი აჯანყების 100 წლისთავის წელს ნატალია ვაჩნაძემ იმ წლებში არსებული პოლიტიკური კატორღელების საზოგადოების დახმარებით მოსკოვის მუზეუმს საჩუქრად გადასცა უძვირფასესი მასალა დეკაბრისტების ისტორიის შესახებ. ნ. ვაჩნაძე 1952 წელს გარდაიცვალა.

ვაჩნაძეების საოჯახო მუზეუმში, რომლის კარი ყველასათვის ღიაა, შეიძლება თვალი გავადევნოთ მურავიოვების ოჯახის მთელ გენეალოგიას. დეკაბრისტების ალექსანდრესა და ნიკიტას მამა — მიხეილ ნიკიტას ძე მურავიოვი განათლებული კაცი იყო, იგი აკადემიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის მეურვე იყო. ძმებს დიდი მეგობრობა ჰქონდათ. თვით გადასახლებაშიც ერთად იყვნენ, სანამ უწყალო ბედმა ისინი სხვადასხვა საპყრობილეში არ მოახვედრა. ალექსანდრეს დახატულია მისი ძმის — ნიკიტას პორტრეტი, რომლის პირი ვაჩნაძეების ოჯახში ინახება.

სათუთად ინახავენ ვაჩნაძეები თავიანთი სახელგანთქმული დიდი პაპის პირად ნივთებს — მაგიდის და მაჯის საათებს, ვერცხლის ფინჯანს, ბეჭედს, ალბომსა და სხვა.

რა ბედი ეწიათ მის შთამომავლებს? ერასტ ვაჩნაძე თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე იყო დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი. იგი ამ დიდი მეცნიერის მოწაფედ თვლიდა თავს. ახლა ერასტ ვაჩნაძე დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ განაგრძობს მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე.

ელენე ვაჩნაძე გახდა ცნობილი ქართველი თეატრალური მხატვრის ირაკლი გამრეკელის მეუღლე. სამწუხაროდ, იგი ადრე გარდაიცვალა. მთელი თავისი სიცოცხლე ელენე ვაჩნაძემ მოახმარა მისი სურათების შეგროვებას. ახლა საოჯახო კოლექციაში ორასამდე სურათია. არის ამ კოლექციაში ელენე ვაჩნაძე-გამრეკელის პორტრეტიც, რომელიც გამოჩენილმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა შეასრულა. თვით ომის მძიმე წლებშიც კი ელენე არ შეელია ამ სურათს.

მთელ თავიანთ დიდ კოლექციას და-ძმა ვაჩნაძეები სახელმწიფოს უანდერძებენ.

ისინი დეკაბრისტების ღირსეული შთამომავლები არიან!

სურათზე: ელენე ვაჩნაძე-გამრეკელი და ერასტ ვაჩნაძე დეკაბრისტებისადმი მიძღვნილ ექსპოზიციასთან.

ი. დავითაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე დიდი ხანძარი მოხდა. ცეცხლს ებრძოდნენ სოხუმის სასტუმრო „აფხაზეთში" და ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატის თამბაქოს ფოთლის საწყობში, ლანჩხუთის ნავთობბაზასა და ადიგენის კურორტვაჭრობის სამრეწველო საქონლის საწყობში, წითელწყაროს რაიკოოპერატივის კულტსაქონლის მაღაზიაში, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ფილიალში მარჯანიშვილის ქუჩაზე და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში.

ხანძარი მუდამ უბედურებაა: ცეცხლი ანადგურებს დიდ მატერიალურ ფასეულობებს, მწყობრიდან გამოჰყავს შენობები და ნაგებობანი, ძვირად ღირებული მოწყობილობა, იღუპებიან ადამიანები. და ყოველთვის მომხდარის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ხანძრის გაჩენა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის, იმ დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულების პირდაპირი შედეგია, რომელსაც ისინი იჩენენ მათთვის მინდობილი ობიექტების სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისადმი.

ამას ადასტურებს ჩამოთვლილი ხანძრების გაჩენის მიზეზებიც. სოხუმში სასტუმრო „აფხაზეთის" რესტორნის მუშაკებმა სამზარეულო ბლოკის მოწყობილობის ექსპლოატაციისას მთლიანად უგულებელყვეს სახხანძარმეთვალყურეობის მოთხოვნები, რამაც გამოიწვია კიდეც ხანძრის გაჩენა. სასტუმროს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაში სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, კერძოდ, დერეფნებისა და სხვა სათავსების კედლებისა და ჭერის მოსაპირკეთებლად სწრაფად წვადი მასალების გამოყენებამ ცეცხლს საშუალება მისცა სწრაფად მოსდებოდა ოთხივე სართულს.

სახანძრო უშიშროების წესებს არ იცავდნენ ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატის თამბაქოს ფოთლის საწყობში. სახანძრო წყალსატევის მშენებლობისა და ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენის მოწყობის შესახებ სახხანძარმეთვალყურეობის ორგანოთა მოთხოვნებზე აქ რეაგირება არ მოუხდენიათ. გარდა ამისა, კომბინატის სამსართულიან შენობას მიაშენეს უპროექტო ნაგებობანი, რაც ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების უხეში დარღვევით მოხდა. კომბინატის ხელმძღვანელობამ სრული უპასუხისმგებლობა და, პირდაპირ ვთქვათ, დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოიჩინა ათ მილიონობით მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის საკითხებში: საწყობის ტერიტორიას არ ჰქონდა საიმედო ღობე, შენობები არ იყო დაცული ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციით.

თავად ობიექტის სახელწოდება — „ნავთობბაზა". — გაზრდილი სახანძრო საშიშროების ასოციაციას იწვევს. და მართლაც, უმცირესი გაუფრთხილებლობა, ბენზინის ტრანსპორტირებისა და ჩამოსხმისას უსაფრთხოების მოთხოვნების უმნიშვნელო დარღვევა უთუოდ იწვევს ხანძარსა და აფეთქებას. ამას მოწმობს ხანძარი ლანჩხუთის ნავთობბაზაში, რომლის ხელმძღვანელებმა დაუშვეს სახანძრო უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევები ტექნოლოგიური კომუნიკაციებისა და იმ მოწყობილობის ექსპლოატაციის დროს, რომელიც საწვავით ავტოცისტერნების ავსებისას გამოიყენება. ამის შედეგად ერთ-ერთი ბენზინმზიდის მომსახურებისას აალდა ბენზინის ორთქლი და მხოლოდ მეხანძრეთა თავდადების შედეგად ცეცხლით განადგურებას გადაურჩა ნავთობბაზის მთელი სარეზერვუარო პარკი. უაღრესად რთულ და საშიშ პირობებში მოქმედებისას გმირობა და მამაცობა გამოიჩინა ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახხანძარმეთვალყურეობის ინსპექციის უფროსმა ინსპექტორმა, შინაგანი სამსახურის ლეიტენანტმა ზ. თავართქილაძემ. ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი დასაჯილდოებლად წარადგინა. ხანძრის ჩაქრობისას აქტიურად მოქმედებდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის აქტივი.

საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევეხო ხანძარს, რომელიც 27 ნოემბერს „კურორტვაჭრობის" აბასთუმნის სამმართველოს სამრეწველო საქონლის ცენტრალურ საწყობში თითქმის ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნათა დარღვევის გამო გაჩნდა. საქმე ის არის, რომ ხელთ გვაქვს ცნობები, რომლებიც საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ ამ ვერსიის სისწორეში.

1979 წლის აპრილიდან საწყობის გამგედ მუშაობდა ვინმე შ. დ. გელაძე, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო ანგარებითი დანაშაულისათვის. მილიციის მუშაკებს აბასთუმნის „კურორტვაჭრობისა" და ადიგენის რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობისათვის არაერთგზის გაუგზავნიათ დოკუმენტები თანამდებობიდან მისი განთავისუფლების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არავითარი ღონისძიება არ განხორციელებულა.

ხანძარი გაჩნდა სწორედ საინვენტარიზაციო აღწერის დროს, როცა აღიწერა ცენტრალური საწყობის ოთხი სათავსი და მეხუთის ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგებიღა იყო შესაჯამებელი. ბუღალტერიის მონაცემებით, ცენტრალურ საწყობში ინახებოდა 445,7 ათასი მანეთის საქონელი, ხოლო საწყობში შენახვის ლიმიტი იყო 306,0 ათასი მანეთი. მაშასადამე, საწყობში ინახავდნენ 139 ათასი მანეთის საქონლის ზენორმატიულ მარაგს.

აბასთუმნის „კურორტვაჭრობის" (დირექტორი — ე. ი. კვირკველია) მუშაობაში სხვა სერიოზული ნაკლოვანებანიც გამოვლინდა. მაგალითად, გელაძის მუშაობის პერიოდში მოეწყო მხოლოდ ექვსი საინვენტარიზაციო აღწერა, არ შექმნილა მუდმივი საინვენტარიზაციო კომისია, ინვენტარიზაციებს შუა პერიოდში არ ტარდებოდნენ შერჩევითი შემოწმებას და ა. შ. გამოძიების ორგანოები არკვევენ ამ გარემოებებს და უახლოეს ხანში საბოლოო პასუხს გასცემენ კითხვას — გაუფრთხილებლობის შედეგად გაჩნდა ხანძარი თუ იგი განზრახ გააჩინეს სახელმწიფო სახსრების დატაცების მიჩქმალვის მიზნით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრაქტიკაში ხშირია ცალკეულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევები საანგარიშო პერიოდის — თვის, კვარტალის, წელიწადის დამლევს: ზოგჯერ ხანძარი სწორედ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო აღწერის დამლევისათვის ჩნდება ხოლმე სამშენებლოებსა და საწყობებში და ხშირად დასტურდება, რომ მისი გაჩენის მიზეზია ცეცხლის განზრახ წაკიდება დანაშაულის კვალის დასაფარავად. ზოგიერთ საწარმოში მოქმედი საქმოსნები და კომბინატორები ცდილობენ ამგვარად ჩამოწერონ მიტაცებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი და თავი აარიდონ პასუხისმგებლობას. ეს, რა თქმა უნდა, მოწმობს შინაგან საქმეთა ცალკეული საქალაქო და რაიონული ორგანოების სუსტ მუშაობას. მილიციის, კერძოდ, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მუშაკებმა ხომ ასეთი ფაქტების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესონ ობიექტებს, სადაც საინვენტარიზაციო აღწერა და რევიზიები მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა გადიდებულ მოთხოვნებს წაუყენებს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის მუშაკებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ანგარებითი მიზნით ხანძრის გაჩენის თავიდან აცილებას. ანალოგიურად ამ პერიოდში ხანძრის გაჩენისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ იმათ, ვინც აწყობს საუწყებო რევიზიებს.

სხვა ვერაფრად მივიჩნევთ, თუ არა დანაშაულად გაუმართავი ელექტროგაყვანილობისა და ელექტროგამთბობი ხელსაწყოების გამოყენებას დიდი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონცენტრაციის ადგილებში. მაგალითად, გამოშვებული ელექტროსადენი გახდა ხანძრის მიზეზი წითელწყაროს რაიკოოპერატივის კულტსაქონლის მაღაზიაში და ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატში. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხებში ხშირად სცოდავენ თვით სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მუშაკები, რომლებიც ადგენენ შესაბამის აქტებს, აჯარიმებენ დამრღვევებს და... ამით ამთავრებენ საქმეს. არადა, განგაში უნდა ატყდეს მანამ, სანამ სახანძრო მანქანების გამოძახება გახდება საჭირო. ისინი ბოლომდე კეთილსინდისიერად და პრინციპულად უნდა ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, ამასთან საკითხს აღძრავდნენ შესაბამისი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების წინაშე, აღწევდნენ გამოვლენილი დარღვევების კონკრეტულ აღმოფხვრას.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის სამსახურს. ხანძრის არც ერთი შემთხვევა არ რჩება სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღების გარეშე, ეწყობა სასამსახურო გამოძიება, რომელიც არკვევს ამ სამსახურის მუშაკთა როლს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შეუსრულებლობაში. და თუ გამოვლინდა, რომ მუშაკი იჩენს უპრინციპობას, არ არის მომთხოვნი, ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, მის მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ცნობენ და გამოაქვთ შესაბამისი დასკვნები. მაგალითად, ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატის თამბაქოს ფოთლის საწყობში ხანძრის საკითხი განიხილეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, მინისტრის ბრძანებით მკაცრად დაისაჯნენ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახანძრო დაცვის ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფის, ამ საქმეში პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოებისა და საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გადიდების საკითხებს. ამ საკითხებს რეგულარულად განიხილავენ სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასკომების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების სხდომებზე და ა. შ. და მაინც, ბევრ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში დიდი ხნის მანძილზე არ ასრულებენ და არღვევენ სახანძრო უშიშროების წესებს, მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, თბილისის პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერია", კამვოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო", საწარმოო გაერთიანება „თბილისთამბაქო", ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკები, მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები. იგივე მდგომარეობაა სოხუმის დრამატულ თეატრებში, ბათუმის სამრეწველო-სავაჭრო ტყავის ფეხსაცმლის ფირმაში, ხის დამმუშავებელ კომბინატსა და ჩაის საწონ ფაბრიკაში, ცხინვალის დრამატულ თეატრსა და მექანიკურ ქარხანაში, ქუთაისის უნივერმაღებში „მაიაში", „ქუთაისში" და „ბავშვთა სამყაროში", გორის საქალაქო ვაჭრობის ბაზაში, ცენტრალურ უნივერმაღსა და შპალების საქონით ქარხანაში, ოჩამჩირისა და გურჯაანის საკონსერვო ქარხნებში.

უნდა შევახსენოთ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში არის 246-ე მუხლი „სახანძრო დაცვის წესების დარღვევა", რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევა, რომელიც ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში დღიდან ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადებისა, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე. იგივე ქმედობა, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე".

სამწუხაროდ, სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მუშაკების საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის საგამომძიებო ორგანოების ბრალით, რომლებიც ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ ამ საქმეში, ჩვენს რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ იყენებენ სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლს. 1985 წელს იმ მასალებიდან, რომლებიც სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის ორგანოებმა გაგზავნეს რესპუბლიკის პროკურატურაში, მხოლოდ ზოგიერთის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამავე დროს სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდა 6845 თანამდებობის პირი, პროკურატურის ორგანოებში გაიგზავნა მასალები რამდენიმე თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის, რომლებიც ბოროტად არღვევდნენ სახანძრო უსაფრთხოების წესებს, ხანძარსაშიში სიტუაციის გამო დროებით შეჩერებულია 367 ობიექტის მუშაობა.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები არაერთხელ გაუფრთხილებიათ, რომ უნდა აღმოფხვრან სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევები, სამინისტროებსა და უწყებებს აცნობეს საქვეუწყებო ობიექტების ხანძარსაშიში მდგომარეობა, მაგრამ, როგორც სინამდვილე ცხადყოფს, სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის მოთხოვნებს კვლავინდებურად უგულებელყოფენ, იჩენენ დანაშაულებრივ დაუდევრობას. ზემოთ ნახსენები ხანძრების გაჩენის კონკრეტული მიზეზების მიუხედავად ხომ დამწვარი ობიექტების ხელმძღვანელთა მოქმედებაში მთელი სიცხადით ჩანს იმ დანაშაულის ნიშნები, რომელიც კვალიფიცირებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის მეორე ნაწილში. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ხანძრების ყველა ხსენებული ფაქტის გამო აღიძრება სისხლის სამართლის საქმეები და დამნაშავე თანამდებობის პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან. სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლს კვლავაც მთელი სიმკაცრით გამოიყენებენ.

გურჯაანის, საგარეჯოს, გალის, ჭიათურის, დმანისისა და სხვა რაიონებში ხანძრების რიცხვი გაიზარდა საბინაო სექტორში ხანძრების შედეგად, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების საკითხთან. როგორც ცნობილია, ეს სამუშაო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილების თანახმად, დაეკისრა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, და კარგი იქნება, რომ მათ რამდენამდე გამოაცოცხლონ თავიანთი საქმიანობა, მეტი ყურადღება დაუთმონ სახანძრო დეპოების შენობების მშენებლობის, მათი შეკეთებისა და რეკონსტრუქციის საკითხებს.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გარკვეული სიძნელეებია სახანძრო დაცვისათვის კადრების შერჩევაში. მოხარული ვიქნებით, თუ პარტიის რაიონული კომიტეტები, აღმასკომები, საწარმოებისა და დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები გამოეხმაურებიან ჩვენს თხოვნას და უფრო ქმედითი მონაწილეობას მიიღებენ ღირსეული შევსებით სახანძრო დაცვის სამსახურის დაკომპლექტებაში. სასურველია, რომ პრაქტიკაში დაინერგოს „ცეცხლოვანი" პროფესიის ადამიანების შესახებ ტელენარკვევების ჩვენება, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ჩანახატების დაბეჭდვა.

უახლოეს დროში სახელმწიფო სახანძრო მეთვალყურეობის სამსახურის მუშაკები კვლავ შეამოწმებენ სახალხო მეურნეობის ცალკეული ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობას, და განახორციელებენ ზემოქმედების ყველაზე მკაცრ ღონისძიებებს, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანაა.

შ. გორგოძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ხანძრისათვის — სისხლის სამართლის პასუხისგებაში

ჭადრაკი

ჭადრაკის დაფებთან

საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა) მერვე ტურში ჩემპიონობის ყველა პრეტენდენტმა კარგად ითამაშა, სტურუამ, რომელიც შავებით თამაშობდა, კუ შესწირა შალამბერიძეს, ძლიერი იერიში მიიღო და მოიგო; აზმაიფარაშვილმა შეავიწროვა იაილიანის პოზიცია და პარტია გამარჯვებით დაამთავრა; გუფელდმა მატერიალური უპირატესობა მიიღო ბოკუჩავასთან და მოიგო, ხოლო ზაიჩიკმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ჯანჯღავასთან; გიორგაძემ მოუგო ჩიქოვანს.

გადადებულ პარტიებში სტურუა ყაიმზე შეუთანხმდა გუფელდს, ხოლო ზაიჩიკი — ტაბატაძეს.

რვა ტურის შემდეგ 5,5 ქულით და 1 გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა სტურუა, გუფელდს 5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ზაიჩიკსა და აზმაიფარაშვილს — 5-5 ქულა და თითო გადადებული პარტია. გიორგაძემ 5 ქულა მოაგროვა.

ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური რჩება.

ჰოლანდიის ქალაქ ჰილვერსუმში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვისა და ჰოლანდიელი დიდოსტატის იან ტიმანის ამხანაგური მატჩი. გაიმართა მეოთხე პარტია, რომელიც 62-ე სვლაზე გადაიდო. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 2:1 კასპაროვის სასარგებლოდ.

სატურნირო ორბიტა

კრივი. თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება ჭაბუკ მოკრივეთა მეოთხე საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობის მეორე დღეს 48 კილოგრამამდე წონითი კატეგორიების სპორტსმენთა შორის შეხვედრები ასე დამთავრდა: ა. ტევსმა (გდრ) მოუგო ი. ვიერელიას (ფინეთი), ა. კირილოვიჩმა — გ. ხანბატიროვს (ორივე სსრ კავშირი), ე. პეისანმა (კუბა) — ა. კვიტკოს (სსრ კავშირი), ა. კაზანჯიანმა (სსრ კავშირი)—ტ. შმიდტს (გდრ). 51 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ე. სუარესმა (კუბა) მოუგო პ. სტეინმეტცს (გდრ), ს. გალოიანმა — კ. კუზნეცოვს, ვ. პრისიაჟნიუკმა (სამივენი სსრ კავშირი) — ტ. უზლიანს (საქართველო), ა. ხანმურაზევმა — ი. ოლლილას (ფინეთი).

ჰოკეი. მოსკოვში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო შვეციის ჰოკეისტებს ანგარიშით 10:1, ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ნაკრებთა შეხვედრა დამთავრდა პირველთა გამარჯვებით ანგარიშით 7:2.

ხელბურთი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მთავრდება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი „ბ" ჯგუფში.

სსრ კავშირის ნაკრებმა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ნახევარფინალური შეხვედრა წააგო უნგრელებთან (20:23) და ქვეჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდა, მომავალ წელს მსოფლიო ჩემპიონატის „ა" ჯგუფში იასპარეზებს. ჩვენი გუნდი ფინალში იბრძოლებს მეხუთე ადგილისათვის. პირველი ადგილისათვის გდრ-ისა და უნგრეთის, მესამისათვის კი გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ.

ი. ხ. ფუტკარაძე

გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1932 წლიდან სკკპ წევრი ისმაილ ხასანის ძე ფუტკარაძე.

ი. ფუტკარაძე დაიბადა 1902 წელს გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა 1912 წელს დაიწყო მოჯამაგირე მწყემსად, შემდეგ სოფლის მეურნეობაში შრომობდა.

1926-1930 წლებში იგი სწავლობდა ქ. ბათუმის სუბტროპიკულ ინსტიტუტთან არსებულ პარტიულ სკოლაში მუშათა ფაკულტეტზე, შემდეგ მუშაობდა გაერთიანებული მუშფაკების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისტად.

ქ. მოსკოვში აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. ფუტკარაძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ ცაკის თავმჯდომარედ, სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1948-1963 წლებში იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მუშაობდა, სადაც მას მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, მომდევნო წლებში კი სხვადასხვა ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო თანამდებობაზე მუშაობდა.

1970 წლიდან ი. ფუტკარაძე პერსონალური პენსიონერია. ყველგან, სადაც კი კომუნისტურ პარტიას სამუშაოდ გაუგზავნია, ი. ფუტკარაძე მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, მთელ ძალ-ღონეს და ცოდნას ახმარდა კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

იგი არჩეული იყო სსრ კავშირის სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად. დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, შვიდი მედლით.

ისმაილ ფუტკარაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

ქორეოგრაფებს ახალ-მოსახლეობა აქვთ

თბილისის ქორეოგრაფიულმა სასწავლებელმა ახალმოსახლეობა იზეიმა ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე კეთილმოწყობილ შენობაში. ნორჩ მოცეკვავეთა განკარგულებაშია ცხრა საცეკვაო კლასი, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში სამეცადინო კაბინეტები.

სასწავლებლის ორას აღსაზრდელს თავიანთ მდიდარ გამოცდილებასა და ოსტატობას უზიარებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვ. ჭაბუკიანი, ქორეოგრაფები ნ. დიდებულიძე, ს. ვეკუა და მრავალი სხვა.



სურათებზე: მეცადინეობის წინ; თბილისელ ქორეოგრაფთა ახალი შენობა; დიანა ბლიაძე სასწავლებლის აღსაზრდელია.

ხ. ედიშერაშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წიგნის თარო

„პირველი სხივის" ციალი

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ღვაწლი დასდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ყოველწლიურმა ლიტერატურულმა ალმანახმა „პირველმა სხივმა" დღევანდელი ქართული მწერლობის განვითარებას. მან დაულოცა გზა ბევრ ახალგაზრდას, რომელთა შემოქმედება დღეს ასე გვახარებს და გვეამაყება.

„პირველი სხივის" ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების თავისებური მოვლენაა ხოლმე, რადგან მკითხველი ელოდება ახალ სახელებს, რომლებიც ხვალ თავიანთ სიტყვას იტყვიან დიდ ლიტერატურაში.

და აი, ალმანახის (რომელსაც უკვე კარგა ხანია რედაქტორობს მწერალი რევაზ მიშველაძე) მეცხრამეტე ნომერიც გამოვიდა. მასში ლიტერატურის თითქმის ყველა დარგია წარმოდგენილი და მშვენიერი საჩუქარია ქართული მწერლობის მომავლით დაინტერესებული მკითხველისათვის.

„მთვარიდან მზისკენ"

გამომცემლობა „მერანმა" გამოსცა ევგენი ბართაიას ახალი ლექსების კრებული „მთვარიდან მზისკენ". ამ ლექსებში მრავლისმნახველი კაცის ფიქრები და მისწრაფებებია გამჟღავნებული, რომლებიც უკავშირდება თანამედროვე ადამიანს, მის შრომას, მოვალეობას — იბრძოლოს ყველაზე ნათელი იდეალებისათვის.

წიგნის რედაქტორია ლ. არაბიძე, მხატვარი — ტ. შეყილაძე.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

21 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ბურატინის თავგადასავალი. 10.05 — კონცერტი. 10.30 — უსაფრთხო მოძრაობა. 11.00 — ტელეფილმი. 11.50 — „ცისარტყელა". დუნაისპირა ქვეყნების ფოლკლორი. 12.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.10 — ოჯახში და სკოლა. 13.40 — კონცერტი. 14.35 — „ჩრდილოური დღიური". 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — პიანისტთა შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები. 16.50 — ჰოკეი. 18.15 — კონცერტი. 18.30 — ცხოველთა სამყაროში. 19.30 — ჰოკეი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „შერგამოლი ტრუფალდინო". 0.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — თუ ვინდა ჯანმრთელი იყო. 9.30 — დილის ფოსტა. 10.00 — ჩვენი ბაღი. 10.30 — უკრაინის ტელევიზიის პროგრამა. 12.00 — მოგზაურთა კლუბი. 13.00 — სტადიონი ყველასათვის. 13.30 — დოკუმენტური ტელეფილმი. 14.25 — ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. 15.05 — მოკლემეტრაჟიანი საბავშვო მხატვრული ტელეფილმები. 16.00 — ჰოკეი. 16.40 — მხატვრული ფილმი „აღდგომა". 20.00 — ბავშვთა მხატვრული კოლექტივების კონცერტი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ძალოსნობა. 23.05 — კალათბურთი. 23.45 — ახალი ამბები.

თბილისი

21 დეკემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — მოამბე. 10.15 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — ხალხური შემოქმედება. ესტონური ხალხური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა. 10.40 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რეპეტიცია". 11.30 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად. „მეგობრობის ეკრანი". სომხეთის ტელევიზიის პროგრამა. 12.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.35 — საესტრადო კონცერტი. 13.15 — სპორტული პროგრამა: 1. „მობურთალსა მოედანი"... 2. კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო"—კიევის „სტროიტელი". 14.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.25 — გიწვევთ „იავნანას" საოჯახო კლუბი. 15.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — „ექო". 16.30 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე" — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.20 — ფოლოლობაზე ითქვა — რა გაკეთდა? „ჩვენი სოფელი" (რეიდი ფერმებში). 18.40 — ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. 19.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 20.00 — მოამბე. 20.45 — „ცეროდენას ეკრანი". 21.00 — სკკპ 27-ე ყრილობის შესახვედრად. სტუდია „დიალოგი" — ადამიანის ფაქტორი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი".

თეატრი

21 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ოტელო (56-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ექსპრომტი; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პაემანი ცაში; მეტეხის — გაზდევილი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — თავგასული თეთა (აბონ. № 56).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06445 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. სავაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14